საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი გიორგი თარაშის ძე

გ. კანდელაკი

კანდელაკი გიორგი თარაშის ძე (დ. 10. IV. 1974, სოფ. ვარიანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი, მოკრივე. მსოფლიო ჩემპიონი ზემძიმე წონაში (ბუდაპეშტი, 1997), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი (1993); მსოფლიო ჩემპიონი კრივში იუნიორთა შორის (1992); მსოფლიო თასის II პრიზიორი (1994); პროფესიონალი მოკრივე (1997-იდან). ჩაატარა 24 შეხვედრა, მოიგო 24-ვე, მ. შ. 18 ნოკაუტით. მსოფლიო ჩემპიონი WBU (ჭორლდ ბოხინგ უნიონ) ვერსიით (2002–04). საქართვ. წლის საუკეთესო სპორტსმენი (1997). დაამთავრა გორის პედ. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი (1997). სპორტულ კლუბ „ჩემპიონის" დამფუძნებელი (1999). საქართვ. პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი (2002). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).